ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 168 (7729)
2 სექტემბერი,
კვირა,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

თვის მონაგარი

აგვისტოს ესტაფეტა— მღელვარე სექტემბერს

სპორტული აგვისტო მრავალმხრივ საყურადღებო აღმოჩნდა და კარგა გვარიანი საზრდო მიაწოდა განსჯა-ანალიზისთვის სპორტსმენებსაც, მწვრთნელებსაც და გულშემატკივრებსაც.

ალბათ, სპორტის ქომაგნი დაგვეთანხმებიან, რომ თბილისის სპორტის სასახლეში გამართული დიალოგი: თბილისის „დინამო“ — გულშემატკივარი კარგი ტრადიციის დასაბამად იქცა. თურმე სულ ტყუილად გავურბოდით ასეთ ხალხმრავალ და, რაც მთავარია, უაღრესად გულწრფელ და საქმიან შეხვედრას ფეხბურთელებსა და მათს მუდმივ თანამგზავრებს შორის. საზოგადოებრივი აზრი ის ძალაა, რომელსაც უნარი შესწევს გაჭირვების ჟამს გაამხნეოს საყვარელი გუნდი, რწმენა და შემართება ჩაუნერგოს, გამოუცხადოს თავისი ნდობა და პატივისცემა. ამიტომ, ჩვენი აზრით, შეხვედრა იყო ურთიერთსასარგებლო, რაც მომავალში მაყურებელსაც წაადგება და გუნდსაც. ბოლოს და ბოლოს, ყველაფრის გარკვევა და გაგება სტადიონზე ვერ ხერხდება; ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. მადლობის მეტი რა გვეთქმის სპორტკომიტეტის, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და „დინამოს“ ხელმძღვანელობის მიმართ, რომელთა მცდელობამ და მზადყოფნამ უზრუნველყო საინტერესო ღონისძიების მოწყობა. და თუ ვინმეს ამ შეხვედრამ ერთგვარი უკმარობის გრძნობა მაინც დაუტოვა, არც ამან უნდა გაგვაკვირვოს: ერთი ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, დასაწყისი მუდამ ძნელია. იგივე ითქმის სპორტის სასახლეში საფუძველჩაყრილ ტრადიციაზე. ალბათ ურიგო არ იქნება, თუკი ფეხბურთის მოყვარულებისა და თბილისის „დინამოს“ მაგალითს მიბაძავენ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც და დრო და დრო შეხვდებიან თავიანთ ქომაგებს ურთიერთსაინტერესო პრობლემებზე სასაუბროდ.

აფროსნობა

„მეგობრობა-84“-ის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირებისადმი უდიდესი ინტერესი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მაღალი საერთაშორისო კლასის სპორტსმენთა ჩინებულმა გამოსვლებმა. მკითხველიც, მაყურებელიც ძალაუნებურად ადარებდა ამ შეჯიბრებისა და ცოტა ხნის წინათ დამთავრებული ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის შედეგებს. ეს შედეგები კი მეტწილად სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა უპირატესობაზე მეტყველებდა. გამონაკლისი არც აფროსანთა ტურნირი გახლდათ, რომელსაც ესტონეთის დედაქალაქი მასპინძლობდა. „ვასკვლავის“ კლასში უკვე მერამდენედ დაამტკიცა თავისი უძლეველობა ბიგანიშვილ-ზიბინის შეხმატკბილებულმა დუეტმა. ნიჭიერმა სპორტსმენებმა ყველა იმედი გადაუწურეს მეტოქეებს და დიდი უპირატესობით მოიპოვეს უმაღლესი ჯილდო. გურამ ბიგანიშვილს, რაღა თქმა უნდა, არავითარი რეკომენდაცია არ სჭირდება. საქართველოს უძლიერესი აფროსანი ნებისმიერ შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოდის და თავისი სტაბილურობით საუცხოო მაგალითს აძლევს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა სპორტსმენებს. ვინძლო მას მომავალში ღირსეული მიმდევრებიც გამოუჩნდნენ.

ძიუდო

„მეგობრობა-84“-ის ვარშავაში გამართულ ტურნირში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა ერთ-ერთმა უძლიერესმა ქართველმა ძიუდოისტმა, საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ სამყაროში კარგად ცნობილმა ოსტატმა თამაზ ნამგალაურმა. მეორე ადგილი მისთვის არ უნდა ჩაითვალოს წარუმატებლობად, თუმცა მისგან, რა დასამალია, მხოლოდ ოქროს მედალს ელიან გულშემატკივრებიც და სპეციალისტებიც.



მძლეოსნობა

ალბათ, ისე არაფერი ან თითქმის არაფერი გვახარებს, როგორც ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსანთა წარმატებები. რა თქმა უნდა, სპორ-

(დასასრული მე-4 გვ.)

ევროპის ჩემპიონი

თამაზ ინდუაშვილი

(თავისუფალი ჭიდაობა)

დაიბადა 1966 წლის 9 მარტს ქარელის რაიონის სოფელ ურბნისში.
წონა 87 კგ, სიმაღლე 186 სმ.
სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკი“.
ვარჯიში დაიწყო 1978 წელს გორში „ბურევესტნიკის“ სპორტულ სკოლაში.
სპორტის ოსტატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების II კურსის სტუდენტი.
მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ სხირელი.
საუკეთესო სპორტული შედეგები: საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი თანატოლებში, „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს მრავალგზის ჩემპიონი, ხუთამდე საკავშირო ტურნირის პრიზიორი, 1984 წლის „ოლიმპიური რეზერვის“ საკავშირო პირველობაში გამარჯვებული, 1984 წლის ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებში.

თუ საქმეს უერთგულებ

პირველი ნაბიჯი სპორტში, პირველი გამარჯვება და მარცხი... მეხსიერებას, ჩვეულებრივ, დიდხანს შემორჩება ხოლმე ყველაფერი, იმ პირველ განცდასთან რომ არის დაკავშირებული. თამაზ ინდუაშვილს აბა რა დაავიწყებს თავის პირველ საერთაშორისო შეჯიბრებას, ამ შეჯიბრებაზე მოპოვებულ პირველ ოქროს მედალს. დიახ, თვრამეტი წლის სპორტსმენისთვის პოლონეთის ქალაქ ლოძში გამართული ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი, ასე ვთქვათ, საერთაშორისო დებიუტი იყო (სხვათა შორის, რამდენიმე დღით ადრე სწორედ ამ ქალაქში და ასეთსავე ტურნირში გაიმარჯვა ცხაკაიელმა „კლასიკოსმა“ გიორგი მაკალათიამ, რომლის შესახებ „ლელოს“ ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში მოგითხრობდით). ინდუაშვილი და საბჭოთა ნაკრების სხვა წევრები თითქმის ნახევარი წელიწადი ემზადებოდნენ ამ ჩემპიონატისათვის.

— ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების საბოლოო შემადგენლობა „ოლიმპიური რეზერვის“ საკავშირო პირველობის შემდეგ გახდა ცნობილი, — ამბობს ნუგზარ სხირელი, — ეს არის ერთგვარი შესარჩევი შეჯიბრება, რომელიც წინ უძღვის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებს. სხვა ტურნირებისაგან განსხვავებით, აქ შეხვედრები წრიული სისტემით იმართება, ეს კი სპორტსმენისაგან დიდ გამძლეობასა და ნებისყოფას მოითხოვს. ინდუაშვილს ქვეყნის მთავარ გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად ზედიზედ შვიდი მეტოქის დამარცხება დასჭირდა. ამ შეხვედრებში მან სულ ორი ქულა დაკარგა, ექვსი წმინდა გამარჯვება მოიპოვა, ფინალში აშკარად დაჯაბნა ჭაბუკთა შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული, კიეველი ავჩარენკო. ერთი სიტყვით, ქვემძიმე წონაში ლიდერი გახდა და გზაც გაეხსნა საერთაშორისო სარბიელისაკენ.

შემდეგ იყო მოსამზადებელი საწვრთნელი შეკრებები მინსკსა და ალუშტაში. ნაკრების მწვრთნელები ქართველი ფალავნისათვის ვერცხლის მედალს ვარაუდობდნენ (მაინც დებიუტანტიაო), მაგრამ თავად თამაზი სხვაგვარად ფიქრობდა: „ჩემპიონი უნდა გავხდე“ — ასე გადაწყვიტა თავისთვის და მიზნის მისაღწევად ყველაფერი ბოლომდე გაიღო. არადა, ერთი ხანობა, ვიდრე საკავშირო სარბიელზე თავს გამოიჩენდა და ნაკრების სრულუფლებიან წევრად მიიღებდნენ, თავისებურ გზაჯვარედინზე იდგა: მოულოდნელმა ტრავმამ თვეობით ჩამოაშორა ვარჯიშს, აქეთ ახლობლები ეძალებოდნენ — ახლა კი უნდა დაანებო თავი ჭიდაობას და სწავლას მიხედოო. მაგრამ, საბედნიეროდ, პირველი სიყვარული ძლიერი გამოდგა, შინაგანად გრძნობდა, რომ სპორტში, ჭიდაობაში თავისი სიტყვა უთუოდ უნდა ეთქვა, სწავლაშიც სიბეჯითე გამოიჩინა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მწვრთნელისგან ხშირად სმენია, რომ საქმეს მერყევი ხალხი არ უყვარს, არჩეული გზის ერთგულება, დიდი მიზნისთვის გაღებული მსხვერპლი ხვალ-ზეგ უთუოდ გამოიღებს კეთილ ნაყოფს. ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი ამ მიზნისკენ გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯია.

როგორ მოიპოვა ეს მედალი? ამ კითხვას თვითონ ჩემპიონი პასუხობს:

„ქვემძიმე წონაში სულ ექვსნი ვიყავით. მწვრთნელებმა საგანგებოდ გამაფრთხილეს, რუმინეთისა და ბულგარეთის მოჭიდავეები განსაკუთრებით ძლიერნი არიან და ყველაფერი მათთან შეხვედრაში გადაწყდებაო. პირველ წრეში სწორედ ერთ-ერთ ფავორიტს — რუმინელ მარტინესკუს შევხვდი. მარტინესკუ მსოფლიოს ჩემპიონია ჭაბუკებში, მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, იოლად დავამარცხე —მეორე პერიოდში, როცა 7:2-ზე ვუგებდი, კონტრილეთით „დავიჭირე“ — მსაჯებმა წმინდა გამარჯვება მომცეს. შემდეგ 15 წამში მოვუგე დასავლეთგერმანელ მეტოქეს. მეორე ქვეჯგუფიდან ფინალში ბულგარელი მოჭიდავე გავიდა. ...პირველი ორი ქულა მე მოვიპოვე, იქვე ერთი ქულა წავაგე, მაგრამ მერე არ გამჭირვებია. პირველ პერიოდში კიდევ ორი ქულა ავიღე. შესვენებაზე სეკუნდანტმა მითხრა, რისკი საჭირო არ არის, მაგრად დადექი, ვერაფერს გიზამსო... 8:2-ზე დავამარცხე, მაგრამ რაღაცნაირად შეცბუნებული ვიყავი. ვერ დამეჯერებინა, რომ უკვე ყველაფერი დამთავრდა“.

თამაზ ინდუაშვილთან ერთად ლოძში ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი — სოხუმელი ეგია მუსოიანი (56 კგ) ასპარეზობდა. ასაკის კვალობაზე ეს სპორტსმენი საკმაოდ გამოცდილია: ორჯერ მოიგო ჭაბუკთა საკავშირო პირველობა, შარშან თანატოლებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე კი ვერცხლის მედალი მოიპოვა. შარშანვე, ერთ-ერთ შეჯიბრებაზე, მუსოიანმა ტრავმა მიიღო და თითქმის წელიწადი არ უჭიდავია, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის წინ განაახლა ვარჯიში და კვლავ მოხვდა ქვეყნის ნაკრებში. ლოძში მუსოიანმა მესამე ადგილი დაიკავა.

ელგუჯა ბერიშვილი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

როცა კრიტიკა სამართლიანია

გაზეთში დაბეჭდილ კრიტიკულ მასალას ერთი უმთავრესი დანიშნულება აქვს: ფართო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოიტანოს საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულების კონკრეტული ფაქტი, ამხილოს ნაკლოვანებანი, რათა მომავლისთვის მსგავსი რეციდივები არ განმეორდეს. თავის მხრივ, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები მოვალენი არიან იმსჯელონ გაზეთის კრიტიკულ გამოსვლაზე და მიღებული ზომების შესახებ ოპერატიულად აცნობონ რედაქციას. ეს, ასე ვთქვათ, დაკანონებული მოთხოვნაა. სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეც ხდება: თვე თვეს მისდევს, პასუხს კი ამაოდ ველით — უპასუხისმგებლობას კიდევ ერთი უპასუხისმგებლობა ემატება.

რა თქმა უნდა, საპირისპირო, დადებითი მაგალითებიც გვაქვს, როცა გაზეთის სიტყვას, რჩევას, საქმიან შენიშვნებს ყურს უგდებენ, გულისხმიერად ეკიდებიან. ამას წინათ „ლელოში“ გამოქვეყნდა წერილი — „ზეიმზე უნდა მიგვიხაროდეს“, სადაც ფიზკულტურელის საკავშირო დღეს გამართული სპორტული ღონისძიებების სუსტ ორგანიზაციაზე იყო საუბარი. რედაქციამ უკვე მიიღო პასუხი, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი რ. ჯავახიშვილი.

წერილში ნათქვამია: „გაზეთის შენიშვნა ვ. კიკვიძის სახელობის პარკში სპორტული ზეიმის ჩაშლის თაობაზე სამართლიანია. ამ საკითხზე სპეციალურად იმსჯელა საქართველოს კპ თბილისის ლენინის რაიკომის ბიურომ. დაისაჯნენ ისინი, ვისაც მასობრივ-ფიზკულტურული შეჯიბრებების ორგანიზაცია ევალებოდათ. მკაცრად მიეთითათ საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ პარტკომის მდივნის მოადგილეს დ. ჯინჯიხაძესა და ქარხანა „თბილელექტროიზოლიტის“ პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილეს ბ. ყოფიანს. ამავე საწარმოთა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ განიხილონ ფიზკულტურის მეთოდისტების ა. მარანჯიევისა და ვ. მოტინკას პასუხისმგებლობის, მათი აღნიშნულ სამუშაოზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი“.

მძლეოსნობა

სერგეი ბუბკა— 594 სმ!

იტალიის დედაქალაქში გამართულ დიდ საერთაშორისო მძლეოსნურ შეჯიბრებაში კვლავ ბრწყინვალედ იასპარეზა საბჭოთა სპორტსმენმა, დონეცკელმა სერგეი ბუბკამ. მან ახალი მსოფლიო რეკორდით გაიმარჯვა ჭოკით ხტომაში — 594 სმ.

ტიმ სევერინი: დიახ!

მოგზაურობა „არგოთი“

ალბათ დადგა დრო, მკითხველს „არგოს“ ძირითადი ეკიპაჟი გავაცნო. სწორედ იმ თავმოტვლეპილით დავიწყებ. მითუმეტეს, რომ იგი „არგოს“ პირველი ვიოლინოა, პირველი მენიჩბე.

მარკ რიჩარდსი ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტია, კლასიკურ ფილოლოგიას სწავლობს. ოქსფორდის ნიჩბოსანთა გუნდის წევრია აკადემიურ ნიჩბოსნობაში. მარკ რიჩარდსი ავარჯიშებდა „არგოს“ ეკიპაჟის წევრებს ექსპედიციის წინ. მარკი, როგორც გავიგეთ, კარგად კერავს, ქარგავს და ქსოვს კიდეც. ამხანაგები მას „გაფის“ ეძახიან. ეს სიტყვა ლექსიკონში ვერ ვიპოვე.

პიტერ უილარი „არგოს“ ეკიპაჟის წევრი ჯერ კიდევ ხომალდის მშენებლობის პროცესში გახდა. თავადაც მონაწილეობდა გალერის მშენებლობაში. იგი „არგოს“ დურგალია და ამასთანავე ხომალდის უსაფრთხოებასა და გამართულობაზე ზრუნვა ევალება. პიტერი პროფესიით ინჟინერია. გატაცებულია გრძელ დისტანციებზე სირბილით. განსაკუთრებით მარათონი იზიდავს.

მარკ რიჩარდსი

პიტერ უილარი

პიტერ უორენი

პიტერ მორანი

პიტერ უორენი ცურვას ასწავლის ოქსფორდის უნივერსიტეტში. ჯერ 25 წლისაა, მაგრამ სპორტისთვის უკვე ვეტერანად მიაჩნია თავი. ადრე კი წარმატებით გამოდიოდა მოცურავეთა შეჯიბრებებში. ერთ ხანს ნიჩბოსნობაც სცადა რვაადგილიანებში. პირველივე დღეებიდან „არგოს“ ეკიპაჟის წევრია. მონაწილეობდა მის გამოცდაშიც. საოცრად დახვეწილი, ათლეტური აღნაგობა და ანტიკური პროპორციები მართლა ელადელ გმირს ამსგავსებენ ამ თანამედროვე არგონავტს.

მესამე პიტერი — პიტერ მორანი ანტიკური ტანით ვერ დაიკვეხნის. მას ნამდვილი კოკის ტანი აქვს, ლიპისა და ღაბაბის ჩანასახებით. პიტერ მორანი ირლანდიელია და პროფესიით სასტუმროს მმართველი გახლავთ. ალბათ ძნელია ასეთი სოლიდური თანამდებობის კაცისათვის „არგოს“ პაწაწა გაზქურაზე კერძი მოუმზადოს ორ ათეულ დამშეულ მამაკაცს და თანაც მათთან ერთად უსვას ნიჩაბი, მაგრამ პიტ მორანმა იცის თავისი საქმე. „იაზონის მოგზაურობაში“ მონაწილეობა სასტუმროს მმართველისათვის კარგი რეკლამაა.

„არგოზე“ სამი პიტერია, ორი ტიმი, ორი ექიმი, სამი ირლანდიელი და ერთი ჯონ იგენი!

ჯონ იგენიც ირლანდიელია. 23 წლისაა. დუბლინში ცხოვრობს. თავისუფალი ფოტოგრაფია. „არგოს“ მთელი ცხოვრება ფირზე აქვს აღბეჭდილი იმ დღიდან მოყოლებული, როცა ეს ლამაზი ხომალდი ხეებად იდგა ტყეში! „აირიშ ტაიმსის“ გარდა მისი ფოტოები ხშირად იბეჭდება ინგლისში თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში, „ნეიშნლ ჯიოგრაფიკშიც“ კი.

„არგოზე“ არის მეორე ფოტოგრაფიც — 25 წლის სეთ მორტიმერი. ისიც თავისუფალი ფოტოგრაფია. იგი ლონდონში ცხოვრობს. ნამდვილი კოკნია. ლონდონურ ჟარგონზე ლაპარაკობს და მე კი არა, ინგლისელებიც ხშირად ვერ უგებდნენ, რისი თქმა უნდოდა. სეთს ეს სულაც არ ანაღვლებდა. მისტიკით იყო გატაცებული. გურჯიევი აინტერესებდა. რამდენჯერმე მკითხა მის შესახებ, მისი წიგნების შოვნა მინდაო, მთხოვა. ჩვენთან ეგ კაცი პოპულარული არ არის და მისი წიგნებიც კარგა ხანია არ გამოსულა-მეთქი, ვუთხარი. თავი დამანება.

32 წლის ტიმ რედმანი „არგოს“ მნე და ხაზინადარია. ამავე ფუნქციებს ასრულებდა იგი „სოჰარზეც“. ტიმ რედმანი განაგებს სურსათ-სანოვაგის შეძენისა და ხარჯვის ურთულეს საქმეს. პროფესიით იგი საგეგმო საქმის ინჟინერია. დეივ ბრინიკომბის გარდა, „არგოს“ ეკიპაჟის ყველა წევრი უცოლშვილოა. უცოლშვილოა ტიმ რედმანიც, მაგრამ მას ინგლისში მერი ელოდება. სექტემბერს ტიმს ქორწილი აქვს. მერის სურათს, ცელოფანში გახვეულს გულის ჯიბით ატარებს და რომ მეზარხოშდება, ყველას აჩვენებს, მის ნახვას თვითონვე მონატრებული.

„არგოს“ ორ ექიმს ერთმანეთს არ დავაშორებ. 29 წლის ნიკ ჰოლისი და 30 წლის ადამ მაკი მეგობრები არიან. ნიკი „სინდბადის მოგზაურობაშიც“ ახლდა ტიმ სევერინს. თურქეთის ქალაქ ზონგულდაკში ადამი სწორედ მისი რეკომენდაციით მოვიდა „არგოზე“. ადამმაც ოქსფორდის უნივერსიტეტი დაამთავრა, შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკაში გადიოდა სტაჟირებას ანესთეზიოლოგიაში. აქ იგი ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობამ გაიტაცა. გატაცებულია ადამი აგრეთვე ალპინიზმით. „არგოს“ ეკიპაჟი უაღრესად ჯანმრთელი ხალხისაგან შედგება და ამიტომ ექიმების უმთავრესი საქმიანობა, როგორც ყველა დანარჩენისა, ნიჩბების მოსმაა. ბიჭებმა ექიმებს ზედმეტი სახელები შეარქვეს: დოქტორ ჰოლისს — ექიმი, რომელიც არაფერს აკეთებს; დოქტორ მაკის კი — ექიმი, რომელიც პირველზე ნაკლებს აკეთებს. ან პირიქით. ეს სულ ერთია.

ვერც რიჩარდ ჰილსა და დევიდ ბრინიკომბს დავაშორებ ერთმანეთს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 165, 166.

„არგოზე“ ავედით თუ არა, ერთმა კინოკამერა მოიმარჯვა, მეორემ — მიკროფონი და მაგნიტოფონი. ორივენი ტელეკომპანია ბი-ბი-სის თანამშრომლები არიან. როგორც ცნობილია, ბი-ბი-სი ფილმს იღებს სევერინის ამ ექსპედიციის შესახებ და მისი გადამღები ჯგუფი მოგზაურობის მთელ მანძილზე ნაპირ-ნაპირ დაჰყვებოდა „არგოს“. რიჩარდი და დევიდი კი სევერინმა ეკიპაჟში ჩარიცხა, ოღონდ იმ პირობით, რომ როგორც ყველა დანარჩენი, ისინიც მოუსვამდნენ ნიჩბებს. დევიდ (ანუ —დეივ) ბრინიკომბს აქვს ხანგრძლივი მოგზაურობის გამოცდილება და ღირსეულად გაართვა თავი ორივე ფრონტს. რიჩარდ ჰილს კი, ცოტა არ იყოს, გასჭირვებია. მაგრამ მანამდე სევერინმა ორი კინოოპერატორი დაიწუნა და, როგორც ჩანს,

ჯონ იგენი

სეთ მორტიმერი

ტიმ რედმანი

ნიკ ჰოლისი და ადამ მაკი

დაასკვნა, რომ რიჩარდი მაინც საუკეთესო იყო. თანაც, თუ სიმართლეს ვიტყვით, ამ სამის გარდა ბი-ბი-სის არც ერთ კინოოპერატორს არ გამოუთქვამს სურვილი თანამედროვე არგონავტთა ბედი გაეზიარებინათ. რიჩარდი ძალიან ცოტას ლაპარაკობს. დეივი — პირიქით. სამაგიეროდ ფეხსაცმელი არ უყვარს! მთელი საქართველო ფეხშიშველა მოიარა. ყველაფერს გააკეთებს, შენს მაგივრადაც მოუსვამს ნიჩაბს, ოღონდ ფეხსაცმელს ნუ ჩააცმევ!

კორმაკ ო' კონორი მესამე, უფრო ზუსტად — პირველი და ყველაზე მთავარი ირლანდიელია „არგოზე“. პროფესიით მეთევზეა, შკიპერად მუშაობს თევზსაჭერ ტრაულერზე. ორი წლის წინათ ირლანდიის ჩემპიონი გახდა კარებით ნიჩბოსნობაში. კარა, მკითხველს ალბათ ახსოვს, ირლანდიური ტყავის ნავია, რომლის ანალოგიითაც ააგო ტიმ სევერინმა თავისი „ბრენდანი“. კორმაკი „არგოზე“ სტამბულში მოვიდა და შავ ზღვაში თევზით ამარაგებდა ეკიპაჟს. ამასთანავე იგი „არგოს“ მთავარი კლოუნია, როგორც მას სევერინი და ბიჭები ეძახიან. ხანდახან ისეთ რამეს გააკეთებს, ნიჩაბი ხელიდან გაგივარდება სიცილისაგან. კორმაკი ხშირად ასრულებს ბოცმანის ფუნქციებს. აგებულებითაც ნამდვილი ბოცმანია — დიდი, ზორბა.

ჯონათან კლოკი კიდევ უფრო ზორბაა, ყველაზე მაღალია ეკიპაჟში. არგონავტებს ისიც სტამბულში შეუერთდა. ჯონათანს ბუზღუნა შეარქვეს. მუდამ რაღაცაზე ბუზღუნებდა, მუდამ რაღაც აღიზიანებდა: ხან დევიდის ფეხშიშველი ტყაპუნი, ხან ფოტოაპარატების ჩხაკუნი, ხან კორმაკის ხუმრობა... გაცინებული არ მინახავს, სულ მოღუშული დადიოდა. იგი თურმე ოქსფორდის უნივერსიტეტის ორკესტრში უკრავს ვიოლონჩელზე. მისი უსაყვარლესი კომპოზიტორი რახმანინოვი ყოფილა. ხემთან ერთად კარგად ფლობს ნიჩაბსაც. ის და მარკ რიჩარდსი ერთი ეკიპაჟის წევრები არიან ოქსფორდის რვაადგილიანში. „არგოზე“ ჯონათანი სწორედ მარკის რეკომენდაციით მოვიდა.

მარკ რიჩარდსმა ეკიპაჟის წევრთა სია ჩამოწერა, გადმომცა და თან სათითაოდ დამანახვა, ვინ რომელი იყო.

ტრონდურ პატურსონი სად არის-მეთქი, ვკითხე. ოჰო, ტრონდურიც იციო? რას ჰქვია, ვიცი! ვისაც სევერინის წიგნები წაუკითხავს, არ შეიძლება, აღტაცებაში არ მოეყვანა ტრონდურ პატურსონის — ფარერის კუნძულების მკვიდრის, მხატვრის, მეთევზისა და მეზღვაურის პიროვნებას. პატურსონი სევერინის სამივე ექსპედიციის მონაწილეა და, მართალი გითხრათ, ძალიან დამწყდა გული, რომ პირადად ვერ გავიცანი. უკვე სინოპს უახლოვდებოდნენ თურმე, როცა ტრონდური შინისაკენ გაბრუნებულა. როგორც ბიჭებმა ამიხსნეს, რაღაც გადასახადი ჰქონია შესატანი და თუ დროზე არ გადაიხდიდა, სამართალში მისცემდნენ.

ამ საუბარში ვიყავით, რომ კორმაკმა ყველას სათითაოდ გვკითხა, ყავას დალევთ თუ ჩაისო. უმეტესობამ ყავა ვარჩიეთ. ყავაც თურქული იყო. თურქულ ყავას თურქული ქომშიში შევატანეთ.

მერე მარკმა რუკა ამოიღო და მათ მიერ განვლილი გზა გვაჩვენა. თან გვიხსნიდა, სად გაუჭირდათ ყველაზე მეტად, როდის რამდენი გაიარეს. ყველანი მარკს შემოვეხვიეთ. ეგეოსის ზღვაში მტილსა და სიცხეს გაუწვალებია ეკიპაჟი, თურქეთის სანაპიროებთან უმთავრესად პირქარი ქროდა და ძალიან ცოტას გადიოდნენ. განსაკუთრებით სინოპთან გასჭირვებიათ, როცა ქარიშხალმა „არგო“ შორს გაიტაცა ზღვაში. თითქმის მთელი გზა ნიჩბებზე მსხდარან. ახლა უბედნიერესი ხალხი ვართ, როგორც იქნა, ზურგის ქარმა დაუბერაო, თქვა მარკმა და ყავა მოსვა.

„იბერიიდან“ გადმოგვძახეს, მეთექვსმეტე არხზე გეძახიანო. კაპიტნის ხიდურაზე ადამ მაკი იდგა. ვუთხარი ეს ამბავი. მან ხიდურაზე გადაკიდებული ხურჯინიდან, რომელიც სევერინს თურქეთში ეყიდა და რომელშიც რუკები, ბლოკნოტი, ფარანი და სხვა აუცილებელი საგნები ეწყო, რადიოგადამცემი ამოიღო და ჩართო. „ტოვარიშჩი“, სევერინის ნებართვით, საბჭოთა მენიჩბეებსა და ძირითადი ეკიპაჟის ნახევარს სადილად გვიხმობდა. ჩვენებმა ყველამ უარი განვაცხადეთ, სტუმრებს კი, ბუნებრივია, „ტოვარიშჩის“ ახლოს გაცნობა აინტერესებდათ. მათ მხოლოდ მათთვის გასაგები პრინციპით ძალიან მალე გაარკვიეს „წამსვლელ-დამრჩომის“ ჯისარა და მარკმა, პიტ უორენმა, სეთმა, ჯონათანმა, რიჩარდმა, დეივმა და კორმაკმა „ზოდიაკს“ მიაშურეს. ადამმა საჭე პიტ უილარს ჩააბარა და ორ გზად გადაიყვანა მეგობრები „ტოვარიშჩზე“. მეორე გზობაზე მეც გავყევი, „ტოვარიშჩიდან“ ფოტოაპარატი და სტუმართათვის გადასაცემი წიგნები წამოვიღე და უკან დავბრუნდი.

მარკის მიერ ჩამოწერილი სიის მიხედვით ყველა წიგნს წარწერა გავუკეთე და შევეცადე ყველა პატრონისათვის მიმეცა. ორჯერ თუ სამჯერ შევცდი. სამაგიეროდ, კიდევ ერთი საშუალება მომეცა, რომ ინგლისელთა სახელები დამესწავლა.

წიგნი ყველას მოეწონა. უმალ კითხვას შეუდგნენ. ეს გახლდათ თეიმურაზ მამალაძის „საქართველოს“ ინგლისური გამოცემა. ავტორისთვის ალბათ ამაღელვებელი იქნება ასეთი სურათის წარმოდგენა: ექვსი თანამედროვე არგონავტი ერთდროულად ეცნობა მის წიგნს. მეტიც — მესაჭე ადამ მაკის ერთი ხელი საჭის

რიჩარდ ჰილი



დევიდ ბრინიკომბი



კორმაკ ო' კონორი

ჯონათან კლოკი

ბერკეტზე უკიდია, მეორეში კი წიგნი უჭირავს და კითხვით გართული ხანდახან თუ გახედავს ჰორიზონტს!

წიგნის ავტორი — საქინფორმის დირექტორი, ცნობილი ჟურნალისტი თეიმურაზ მამალაძე ახლა „ტოვარიშჩზეა“. სადილამდე „ტოვარიშჩზე“ პრეს-კონფერენცია გამართულა. ტიმ სევერინის პირველი პრეს-კონფერენცია საბჭოთა კავშირში.

პაატა ნაცვლიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

ფოტოები **ავტორისა.**

ნაკრებში მიიწვიეს

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელებს უახლოეს ხანში ჩასატარებელი აქვთ საპასუხისმგებლო საერთაშორისო მატჩები, რომლებშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელთაგან დაკომპლექტებული გუნდები.

როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოდან შეგვატყობინეს, სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში სათამაშოდ მიიწვიეს საქართველოს ფეხბურთელებიც.

თბილისის დინამოელები ა. ჩივაძე და თ. სულაქველიძე ითამაშებენ ჩვენს პირველ გუნდში, ხოლო გ. კეტაშვილი და მ. არზიანი — სსრ კავშირის კლუბების ნაკრებში. ს. ჭედია გამოვა ახალგაზრდულ გუნდში, ხოლო თბილისის „ლოკომოტივის“ წევრი გ. ჭინჭარაული— უფროსი ასაკის ნაკრებში.

საშუალო ასაკის საკავშირო ნაკრებში მოსამზადებელ წვრთნას გაივლიან: ფანცულაია, კულუმბეგოვი, რევიშვილი (თბილისის „დინამოს“ სპეციალიზებული სპორტსკოლა) და გაგნიძე (გლდანის სკოლა-ინტერნატი).

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

31 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა 31-ე ტურის საკავშირო გათამაშების 31-ე ტურის კალენდარული მატჩები.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:3 (1:2)

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 31 აგვისტო.

„**გურია**“: მჭედლიძე, გილიგაშვილი, ვერულაშვილი, ხურცილავა, ქასრაშვილი, ებანოიძე, კოპალეიშვილი (აკოფიანი), ფრიდონიშვილი (ჯ. ტყებუჩავა), ჩხაიძე, უგრელიძე, წიკლაური (თევზაძე).

„**ტორპედო**“: გ. ტყებუჩავა, კოხტავა, ფრუიძე, კურტანიძე, თავაძე, ჯოხაძე, კორღალიძე, კერესელიძე (თვარაძე), მეგრელაძე, ბურკაძე, შენგელია (კვერნაძე).

მსაჯი რ. ხოდეევი (ვორონეჟი).

დუბლიორები — 1:1.

ლანჩხუთელ და ქუთაისელ ფეხბურთელთა მატჩები საინტერესოდ მიმდინარეობს, გამონაკლისს არც ამ ტურის შეხვედრა წარმოადგენდა. დასაწყისში არც ერთ მხარეს არ ჰქონია რამდენადმე მაინც შესამჩნევი უპირატესობა, მაგრამ განვლილო ათიოდე წუთმა, მასპინძლებმა მოაწყვდეს კუთხური და აქ ზუსტად ითამაშა უგრელიძემ — 1:0.

ეს გოლი სტუმრებმა სულ მალე გაქვითეს: ლანჩხუთელთა საჯარიმო მოედანზე წააქციეს ფრუიძე და კორღალიძემ ზუსტად დაარტყა 11-მეტრიანი — 1:1, შემდეგ კი კორღალიძე-მეგრელაძის სწრაფი კომბინაცია მეორე გოლით დამთავრდა — 2:1.

ტაიმის დამთავრებამდე ლანჩხუთელებს შეეძლოთ ბურთის გატანა (კერძოდ, უგრელიძეს), მაგრამ აქ კარგად ითამაშა მეკარე ტყებუჩავამ.

შესვენების შემდეგ რამდენიმე სახიფათო შეტევა წამოიწყეს ქუთაისელებმა, ძნელი ბურთების მოგერიება მოუხდა მეკარე მჭედლიძეს სწორედ მაშინ, როცა ტერიტორიულ უპირატესობას „ტორპედო“ ფლობდა. მასპინძლებმა სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს, რაც ებანოიძის დარტყმით დამთავრდა. გ. ტყებუჩავამ ვერ შეძლო ბურთის აღება — 2:2.

78-ე წუთზე ვერულაშვილმა თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად ითამაშა კორღალიძესთან. მსაჯმა კვლავ პენალტი დანიშნა. კორღალიძემ ამჯერადაც ზუსტად დაარტყა. 3:2 — გაიმარჯვეს ტორპედოელებმა.

ბექან ნამიჩეიშვილი,

ანზორ სირაძე.

(ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.).

• • •

ტურის სხვა მატჩების შედეგები: „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „დინამო“ (ბათუმი) 1:0, „ზვეზდა‘ (ჯიზაკი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 0:0, „პამირი“ (დუშანბე) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 3:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 0:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 2:0, ასკ (ხაბაროვსკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 2:1, „ირტიში“ (ომსკი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) [illegible] „კუზბასი“ (კემეროვო) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 3:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ფაკელი“	29	20	4	5	44-16	44
„ტორპ.“ ქ.	29	17	5	7	57-39	39
„ყუბანი“	30	16	4	10	42-24	36
„მეტალურ.“	30	14	8	8	45-32	36
„ლოკომოტ.“	29	12	11	6	32-25	35
„დაუგავა“	30	12	10	8	49-35	34
ასკ „კარ.“	30	14	5	11	47-32	33
„პამირი“	30	13	7	10	39-29	33
„გურია“	30	10	9	11	33-36	29
„სპარტ.“	30	11	6	13	32-36	28
„ისკრა“	30	10	8	12	28-33	28
„ნისტრუ“	30	9	10	11	30-41	28
„როტორი“	30	12	3	15	42-56	27
„დინამო“ ბ.	29	10	7	12	33-43	27
ასკ ხ.	29	9	9	11	37-41	27
„ტავრია“	30	9	9	12	31-36	27
„ზვეზდა“	30	11	4	15	35-44	26
„კუზბასი“	29	10	6	13	33-39	26
„შინიკი“	30	9	8	13	36-39	26
„კოლოსი“	30	8	9	13	34-45	25
„ზარია“	29	7	7	15	34-45	21
„ირტიში“	29	4	9	16	22-49	17

საზღვარგარეთის სპორტის ვარსკვლავები

მარადონა ნეაპოლის ცის ქვეშ

„**ნახვამდის,** რათა არასოდეს შევხვდეთ!“ ასეთი სათაურით გამოვიდა იმ დღეს ბარსელონის ცენტრალური გაზეთები. თითოეულ წარწერას ახლდა მარადონას უშველებელი ფოტოები. მაინც როგორ უნდა ავხსნათ ეს მყვირალა, სენსაციური და, ცოტა არ იყოს, დამცინავი სათაური, ისე, როგორც წერია: არც მეტი, არც ნაკლები, ასე დაემშვიდობა საფეხბურთო კატალონია ფეხბურთელს, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ აღმერთებდა, ცაში აჰყავდა და გულისამაჩუყებელი ეპითეტებით ამკობდა.

„მარადონას დრამა“, „მარადონა თავს აღწევს „ბარსელონის“ რკინის გალიას“, „მარადონა გაემიჯნა მაყურებლებს“, „მარადონას გაქცევა“. ძალიან მტკიცე და მამაცი უნდა იყო, რომ გაზეთების ამ კოლექტიურ თავდასხმას გაუძლო. მარადონამ ვერ გაუძლო. მისი წასვლა „ბარსელონიდან“ „ნაპოლიში“ ნამდვილ გაქცევას დაემსგავსა. იგი გაიქცა, როგორც ნაპოლეონი რუსეთიდან, ოღონდ არა მარხილით, არამედ თანამედროვე სუპერლაინერით თავის ერთგულ არგენტინულ კლანთან ერთად. ეს მრავალრიცხოვანი კლანი მარადონას სამშობლოდან ჩამოჰყვა და ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა. კლანმა შესაძლოა მას არგენტინისაგან დაშორებით გამოწვეული ნოსტალგია ერთგვარად გაუქარვა, მაგრამ სამაგიეროდ მარადონა-ფეხბურთელს ბევრი უსიამოვნება და სუბიექტური სიძნელე შეუქმნა. კლანი ერეოდა ყველაფერში: საფეხბურთო საქმეებსა და ფინანსურ ოპერაციებში, სარეკლამო გარიგებებსა და ჟურნალისტებთან შეხვედრებში, ვარჯიშში და გუნდთან დამოკიდებულებაში, კლუბის დირექტორატთან მოლაპარაკებაში, პრაქტიკულად ყველა საკითხში, რაც კი შეიძლება დაკავშირებული იყოს თანამედროვეობის უდიდესი ფეხბურთელის არაოფიციალურ ტიტულთან. მაგრამ კლანის შემოქმედებას, განსაკუთრებით კატალონიაში მარადონას საფეხბურთო მზის ჩასვენების შემდეგ, არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა მრავალი ადამიანის განაწყენებაც და, უფრო სწორად, გაცოფებაც. თავშეკავებულად გამოხატა საზოგადოებრივი აზრი „ბარსელონის“ ვიცე-პრეზიდენტმა კასაუსმა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მარადონას შესყიდვაში: „კლანი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მარადონას საფეხბურთო ბედის განსაზღვრაში. მრავალრიცხოვან თანამემამულეთა გარეშე იგი უფრო ადრე და იოლად შეეგუებოდა კლუბს, სხვა უცხოელი ვარსკვლავების მსგავსად“. მარადონას წასვლის შემდეგ კლანზე დაურიდებლად, მაგრამ მახვილგონივრულად წერდა პრესა: „ისინი მის გარშემო ქმნიდნენ მიკრო-არგენტინას. ამიტომ მარადონას ცუდად ესმოდა ჩვენი და არც აქაურ ხალხს გაუღია გული მისთვის“. ელენიო ერერა, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა პირდაპირობითა და გულახდილობით, თავიდანვე ეჭვს გამოთქვამდა ადაპტაციის თაობაზე და აი, რატომ: „მარადონა ყოველთვის გადაეყრება გადაულახავ სიძნელეებს, რადგანაც იგი შეჩვეულია თამაშზე ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად სიარულს“. ალბათ, კლანმა გარკვეული გავლენა მოახდინა იმაზეც, რომ მარადონასა და მწვრთნელებს არ ესმოდათ ერთმანეთისა. თუმცა, კლანს ჩვენი ლანძღვა-გინება აღარ სჭირდება: კატალონიურმა პრესამ უკვე საკმაოდ შეამკო იგი...

მაინც რამ ჩაიყვანა მარადონა ბარსელონაში? რას ეძებდა იქ? სახელი მანამდეც დიდი ჰქონდა, ფული — თავისი ასაკისა და მდგომარეობის კვალობაზე — თავზე საყარი. ეს იყო, ხელით არ დაჰყავდათ არგენტინელებს. ოცი წლის ყმაწვილი ლამის „ეროვნულ რელიკვიად“ მიიჩნიეს. ნუ ვიქნებით ისე გულუბრყვილონი, რომ დავიჯეროთ კლანის ერთ-ერთი წევრის, მარადონას სიყრმის მეგობრისა და მოყვარული მენეჯერის სიტყვები: „ჩვენ ბარსელონაში ჩამოვედით არა ფულის საშოვნელად, არამედ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ახალი ფურცლის ჩასაწერად“. როგორც ხედავთ, მარადონას ერთგული თანამოაზრე გადამეტებული თავმდაბლობით არ გამოირჩევა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ არის მთავარი. კატალონიური პრესა, რომლისთვისაც ცნობილი იყო ეს განცხადება, სარკაზმით წერდა: „მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის ნაცვლად მარადონამ „ბარსელონაში“ სხვა ღირსების „ისტორიები“ შექმნაო“.

მაინც, როგორი „ბალანსი“ დატოვა არგენტინელმა ვარსკვლავმა ბარსელონაში თამაშის წლებში? ინებეთ: 74 მატჩი, 45 გოლი, 5 ყვითელი და ერთიც — წითელი ბარათი. ბარსელონაში ჩატარებული ორი სეზონიდან მისთვის განსაკუთრებით უიღბლო აღმოჩნდა 1982-83 წლების ჩემპიონატი. იმ სეზონში მარადონამ მხოლოდ 20 მატჩი ითამაშა და აქედან 16 მატჩში არაფრით გამოუჩენია თავი. ჩვენ შეგნებულად არ შევიტანეთ ამ „კატალონიურ ბალანსში“ მძვინვარე ბასკის გოეკოეჩიას მიერ მარადონას მწყობრიდან გამოყვანა ხანგრძლივი დროით. ეს მოხდა 1982 წლის დეკემბერში. მაშინ ჯერ კიდევ დიდი იმედი ჰქონდათ მარადონასი „ბარსელონის“ კლუბის წევრებს, რომლებიც საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი: ეს რა გვიყო ბასკმა, ახლა რა გვეშველებაო. მართლაც, იმხანად ბარსელონას დიდად სჭირდებოდა მარადონას თამაშიც და სახელიც, რომელსაც სტადიონზე ურიცხვი ხალხი დაჰყავდა, ხოლო ჟურნალისტებს გამოულევლად აძლევდა თემას.

„ბარსელონაში“ ყველაფერი თითქოს შეგნებულად, წინასწარგანზრახვით იყო მოწყობილი არგენტინელის წინააღმდეგ: მარადონა უკმაყოფილებას გამოთქვამდა მისდამი მაყურებლის, მოთამაშეების, მწვრთნელებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მსაჯების არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამო. განსაკუთრებით აწუხებდა გაუთავებელი კინკლაობა მადრიდელ მსაჯთან ობმონთან, თავის ანტიპათიას იბერიელი არბიტრის მიმართ იგი დაუფარავად გამოხატავდა კატალონიაშიც და შინაც—არგენტინაში.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მარადონა საოცრად არაკორექტული, თავშეუკავებელი და აგრესიული ადამიანიც კია. მაგრამ ასეთად იქცა იგი კატალონიაში გატარებული ორი უმძიმესი, ურთულესი წლის შემდეგ. მანამდე კი მარადონა-ადამიანი, მარადონა-ფეხბურთელის მსგავსად საერთო აღტაცებას იწვევდა შინაურებშიც და უცხოელებშიც. აკი 1982 წელს „ბარსელონის“ კლუბის პრეზიდენტმა გუნდის ხელმძღვანელობასთან ერთად დიდი სიხარულით მოაწერა ხელი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებულ ფეხბურთელთან შეთანხმებას და გულში ჩაიკრა მარადონა, რომლისგანაც ყველა სასწაულს ელოდა. მაშინ მარადონაც სხვაგვარად გამოხატავდა თავის ემოციებს: „ჩემი ყველაზე დიდი ოცნება იყო ჩამეცვა „ბარსელონის“ მაისური“. სხვა შემთხვევაში, უკვე ბარსელონელად ქცეულმა, მან თქვა: „მე მზად ვარ თავი გავწირო „ბარსელონასთვის“. მარადონა კატალონიის დედაქალაქის ყველაზე ფეშენებელურ უბანში, ჩვიდმეტოთახიან (!) ვილაში დაბინავდა. როგორ არა ჰგავს ეს მდიდრული საფეხბურთო და ცხოვრებისეული ატმოსფერო იმ სევდიან დღეს, როცა მაყურებელი სტვენითა და სიხარულით შეეგება „ბარსელონა“ —„მანჩესტერ იუნაიტედის“ მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ მარადონას შეცვლას. როგორც მარადონამ განაცხადა, იმ წუთებში მან იგრძნო, რომ მაყურებელსა და მას შორის ამოუვსები ნაპრალი გაჩნდა. „მაყურებელი მისტვენდა, მაგრამ მან არ იცოდა, რა ტანჯვით გამოვედი იმ დღეს მოედანზე“. ცნობისათვის: ამ მატჩის წინ მარადონას ცხრა ტკივილგამაყუჩებელი ნემსი გაუკეთეს... უკვე საბოლოო განშორების ჟამს გულნატკენი დიეგო იტყვის: მე ყველაფერი გავიღე „ბარსელონისათვის“, მაგრამ, თუ ვერ შევძელი გამეკეთებინა ის, რასაც ჩემგან მოითხოვდნენ, ალბათ ამაში თვით ღმერთია ჩარეულიო.

1983 წლის მაისიდან (რა მალე იცვლება ქვეყნად ყველაფერი) მარადონასა და „ბარსელონის“ პრეზიდენტ ნუნიესის მეგობრულ ურთიერთობას ჯერ ბზარი გაუჩნდა, ხოლო შემდეგ კონფლიქტიც მოხდა. მარადონამ განაცხადა: „თუ კლუბის დირექტორატი და ნუნიესი პატივისცემით არ მომეპყრობიან, ამიერიდან გულზე ხელს დავიკრეფ და არაფერს გავაკეთებ“. აი, რა შეიძლება მოჰყვეს დასავლეთის სინამდვილისათვის ნიშანდობლივ აჟიოტაჟს, რომლის მიზანია ცალკეული ვარსკვლავების გაღმერთება: მათ მართლაც ჰგონიათ, ღმერთები ვართო. ალბათ ეს არის, ოდესღაც სიმპათიური, მეტად ადამიანური და თავმდაბალი მარადონას პიროვნული დრამაც. თუმცა არც მისი ოპონენტები გამოირჩეოდნენ ანგელოზური ბუნებითა და დიდსულოვნებით. როგორც იტყვიან, ამ შემთხვევაში ძნელი გამოსაცნობია მტყუანი და მართალი.

და აი, ბოლო აკორდი. 1984 წლის 30 ივნისი ყველაზე სევდიანი დღე იყო ჩემს ცხოვრებაშიო, იტყვის ბარსელონის ოტელების პატრონი, კლუბის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი ხუან გასპარტი. იმ დღეს კლუბის დირექტორატმა ხმების დიდი უმრავლესობით გამოიტანა ვერდიქტი მარადონას „ბარსელონიდან“ წასვლის შესახებ.

თვით მარადონამ განაცხადა: დიდი ფიქრის შემდეგ მე თანახმა ვარ გადავიდე „ნაპოლიშიო“, თითქოს დირექტორატის გადაწყვეტილებამდეც მხოლოდ მასზე ყოფილიყო დამოკიდებული, გადავიდოდა სხვაგან თუ არ გადავიდოდა.

ყველაზე ერთგული მომხრეები მარადონას არ განდგომიან, მაგრამ თავშეკავებით კი შეხვდნენ მის წასვლას. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი კასაუსი, რომელმაც იცოდა, რომ მარადონა „ნაპოლიმ“ იყიდა, იცოდა თვით ამ გუნდის მიერ შეძლეული თანხაც კი — 21,8 მილიონი დასავლეთგერმანული მარკა — მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნავდა: „მე მარადონას დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ, ვშიშობ, იგი ვერ მოახდენს იტალიაში სასწაულს: და თუ მოახდენს, ეს იქნება ძალიან გვიან ან, რაც უფრო სარწმუნოა, არასოდეს არ იქნება. „ბარსელონაში“ მან თავი გაგვაცნო გულჩათხრობილ კაცად, რომელიც მხოლოდ თავის ახლობლებს სცემს პატივს. ამიტომ იგი ჩვენთვის შინაურ ადამიანად ვერ იქცა. ჩვენ მას მუდამ უცხოსავით ვექცეოდით“.

ნეაპოლში არგენტინელ ვარსკვლავს არაჩვეულებრივად საზეიმო დახვედრა ელოდა (ამაზე უკვე წერდა „ლელო“). იტალიელთა ენთუზიაზმი ფინანსურადაც გამოიხატა: როცა „ნაპოლის“ გულშემატკივრებმა შეიტყვეს, მარადონა მოდისო, უმალ შეისყიდეს დამატებით 40 ათასი საფეხბურთო აბონემენტი, რომელთა საერთო ღირებულებაც დაახლოებით 20 მილიონ დასავლეთგერმანულ მარკას შეადგენს. ასე რომ, ნეაპოლში ჯერ ჩასულიც არ იყო, როცა კლუბმა თითქმის უკვე აინაზღაურა მასში გადახდილი ფული.

ბარსელონის აეროპორტ „ელ პრატადან“ ნეაპოლში გაფრენის წინ მარადონამ მოჩვენებითი უდარდელობით თქვა: „მე არა მგონია, რომ „ნაპოლიში“ გადასვლით რაიმე დავკარგე. აქ კლუბი გამუდმებით ერეოდა ჩემს პირად ცხოვრებაში. ბევრი შეურაცხყოფასაც მაყენებდა. მაგრამ, ვფიქრობ, ყველასათვის ნათელი იყო, რომ ჩემი გადაკეთება არავის შეუძლია“.

ახლა მარადონა „ნაპოლიშია“ და თითქმის თავიდან იწყებს ყველაფერს. „ბარსელონაში“ მას არ განუცდია ფინანსური კრახი, მაგრამ სამაგიეროდ ჩრდილი მიადგა მის საფეხბურთო რეპუტაციას. ეს კი ყველაზე მძიმე მომენტია მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის ბიოგრაფიისთვის. ღირსეულად გამობრწყინდება თუ არა მოხეტიალე არგენტინელის ნიჭი ნეაპოლის ცის ქვეშ, ამას მხოლოდ დრო დაგვანახვებს.

საკუთარი ინფორმაცია.

თვის მონაგარი

აგვისტოს ესტაფეტა — მღელვარე სექტემბერს

დასასრული

ტის ჭომაგი ცოტათი მოუთმენელია და ამაში მას ვერავინ გაამტყუნებს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომელ ადგილზე გამოვიდა საქართველოს ნაკრები საკავშირო სპარტაკიადის მძლეოსანთა ტურნირში. ამიტომ ის „კანტი-კუნტი“ გამარჯვებები, რომლებსაც საქართველოს მძლეოსნები აღწევენ საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე, ერთობ სიმპტომატურ და ანგარიშგასაწევ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ასე ეყრება თანდათანობით საფუძველი (საამისო იმედი არ უნდა დავკარგოთ) უფრო სერიოზულ წინსვლას ჩვენთვის ტრადიციულად რთულ და ძნელ სახეობაში. აი, კიდევ ერთი გამამხნევებელი საბუთი: ჩვენმა ნიჭიერმა სპრინტერმა ქალიშვილმა მაია აზარაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა „მეგობრობა-84“ ტურნირში, რომელიც პრაღაში გაიმართა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდა პერსპექტიული ქართველი მორბენალი, სპრინტერულ ესტაფეტაში წინ მხოლოდ ბულგარელთა გუნდი გაუშვა.

თანამედროვე ხუთჭიდი

სპორტის ეს ურთულესი სახეობა, სულ უფრო პოპულარული ხდება ჩვენშიც და უცხოეთშიც. როგორც ჩანს, თანამედროვე ხუთჭიდის ამ ახალ ბუმს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული მოძრაობა მომზადებული ხვდება. ყოველ შემთხვევაში, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ იგორ ბრიზგალოვისა და მისი ახალგაზრდა კოლეგის ვახტანგ იაგორაშვილის ოსტატობა საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა. ეს იმედი უფრო გამოცდილმა ბრიზგალოვმა და შედარებით გამოუცდელმა იაგორაშვილმა კიდევ უფრო განგვიმტკიცეს მოსკოვში ჩატარებულ საკავშირო პირად-გუნდურ ჩემპიონატში მოპოვებული შედეგებით. თუ იგორ ბრიზგალოვის ვერცხლის მედალი პირად ტურნირში და ოქროს მედალი გუნდურ ასპარეზობაში კანონზომიერ მოვლენად აღვიქვით, ერთობ სასიამოვნოდ დაგვრჩა ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენის ვახტანგ იაგორაშვილის მიერ მოპოვებული მესამე ადგილი გუნდურ პირველობაში. ასეთი შედეგებით ორივე სპორტსმენი ქვეყნის უძლიერეს ხუთჭიდელთა შორის მოექცა. საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრს იგორ ბრიზგალოვს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი დიდ სარბიელზე. სასიხარულოა, რომ მას გვერდში ამოუდგა 20 წლის ვახტანგ იაგორაშვილიც.

კლასიკური ჭიდაობა

მოულოდნელი არ ყოფილა ჩვენთვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის I კურსის სტუდენტის გიორგი მაკალათიას დამაჯერებელი გამარჯვება ლოძში გამართულ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატში. მოულოდნელი არ იყოო იმიტომ ვამბობთ, რომ მანამდე ნიჭიერმა ფალავანმა თავი ისახელა ქვეყნის პირველობაშიც. როგორც ხედავთ, ცხაკაიელი მოჭიდავე თანმიმდევრულად იღებს საფალავნო სიმაღლეებს. ახლა მთელი ძალისხმევა ჭაბუკი მოჭიდავისა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ერთი წუთითაც არ მოადუნოს ყურადღება და არამც და არამც არ გაანელოს მონდომება. მისგან ხომ ასე ბევრს მოველით ყველანი.

თავისუფალი ჭიდაობა

იუნიორთა შორის ჩვენმა საფალავნო სკოლამ კიდევ ერთი სერიოზული ჯილდო შემოიმატა. ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი ამჯერად მოგვიტანა და დიდადაც გაგვახარა ქარელელმა მოჭიდავემ თამაზ ინდუაშვილმა. უფრო დაწვრილებით ნიჭიერ ჭაბუკ ფალავანზე გაზეთის დღევანდელ ნომერში მოვუთხრობთ მკითხველებს.

ფეხბურთი

აგვისტოს კალენდარი მდიდარი იყო ბავშვთა, მოზარდთა და ჭაბუკთა ტურნირებით. ტრადიციულად ძლიერად გამოვიდა საქართველოს ჭაბუკთა ფეხბურთის რამდენიმე გუნდი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კვლავინდებურად იზრდებიან ნამდვილი ტალანტები, რაც ჩვენი ფეხბურთის რეზერვს წარმოადგენს. ამ ტურნირების შედეგებს უკვე გაეცნო მკითხველი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ მომავალში საკავშირო სარბიელზე გამობრწყინებულ ჭაბუკ ფეხბურთელებს განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა დასჭირდებათ, რამეთუ სწორედ მათში ვხედავთ ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელ დღეს. მით უმეტეს, რვა ფეხბურთელი ჩვენი რესპუბლიკიდან შეყვანილია ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში.

ჭადრაკი

გენადი ზაიჩიკი დიდოსტატი გახდა და თავისი უმაღლესი წოდების ფორმალურ დადასტურებასღა ელოდება. ეს წარმატება და ნანატრი წოდება მან მოიპოვა პოლონეთის ქალაქ პოლიანიცა-სდრუეში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებით. გავიხსენოთ ისიც, რომ ზაიჩიკი უკვე მრავალი წელია ითვლება ძლიერ და მიზანსწრაფულ მოჭადრაკედ; მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა წინა საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს მოჭადრაკეთა წარმატებაში. დიდოსტატობა მისი მუყაითობისა და ოსტატობის ღირსეული ჯილდოა.

ველოსპორტი

კვლავ დაგვიდასტურა თავისი მაღალი კლასი ომარ ფხაკაძის მოწაფემ, ძლიერმა და პერსპექტიულმა ველომრბოლელმა ოთარ მჭედლიშვილმა, რომელმაც უშეღავათო ბრძოლაში მოიპოვა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი სპრინტში. ეს წარმატება მისთვის უთუოდ კარგი სამომავლო სტიმული უნდა იყოს. რა დასამალია, ჩვენ არც ისე ვართ განებივრებული უმაღლესი კლასის სპრინტერებით და გვინდა გვჯეროდეს; ოთარ მჭედლიშვილის პროგრესი არ შენელდება.



ჩოგბურთი

საჩოგბურთო თემა ჩვენთვის ბოლო ხანს სასიამოვნოც გახდა და ოპტიმისტურიც. ამჯერად დარწმუნებული ვიყავით, რომ ქართული ჩოგბურთის ახალი საიმედო ტალღის წარმომადგენლები თავიანთ ღირსეულ სიტყვას იტყოდნენ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ტურნირშიც. და აკი თქვეს კიდეც. ირინე მალაციძემ I ადგილი დაიკავა, ხოლო ვლადიმერ გაბრიჩიძემ — III. ძალიან კარგი შედეგებია.

როგორც ხედავთ, აგვისტოს სპორტული მაჩვენებლებით არ უნდა ვიყოთ უკმაყოფილო. მაგრამ ჩვენ შეგნებულად ავუარეთ გვერდი მარცხს, რამეთუ უმჯობესია ახალგაზრდა სპორტსმენებმა დადებით მაგალითზე მიიღონ სამომავლო გაკვეთილები, ხოლო მწვრთნელებმა თავიანთი აღსაზრდელებისათვის „ოპტიმალურზე“ მაღალი ზღუდეების აღება დაისახონ მიზნად. თანამედროვე სპორტი მაქსიმალისტებისაა და არა „მოწამლული“ პრაგმატიკოსებისა. სპორტს სითამამე უყვარს, სპორტს უყვარს ისინი, ვინც მაღალ მიზნებს ისახავს და სამისოდ გვარიანადაც ირჯება. შიშველ ოპტიმიზმს ჯერ არავისათვის მოუტანია სერიოზული წარმატება, თუ შემართება გაპოხიერებული არ არის მუყაითი, სისტემატური შრომით. განა ამაზე არ მეტყველებს აგვისტოს გამარჯვებულთა მაგალითიც?

ხომ საინტერესო და მრავალფეროვანი იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის აგვისტოს სპორტული პროგრამა; კიდევ უფრო საინტერესო და დაძაბულ სპორტულ პანორამას გვპირდება სექტემბერი, რომელიც დიდ გამოცდას მოუწყობს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილე საქართველოს დელეგაციის წევრებს. ეს იქნება გამოცდა ნორჩი სპორტსმენებისა და მათი აღმზრდელების ნაშრომ-ნაჯაფისა და ნაამაგარისა, იმისა, როგორ გავისარჯეთ, რა მოვიმოქმედეთ, როგორ წაადგა ჩვენი ცოდნა, ენერგია და, დასამალი არ არის, გვარიანი ფინანსური ბალანსიც ამ დიდი სპორტული მოვლენისათვის მზადებას. სპარტაკიადა მარტო ჩვენი მოსწავლე სპორტსმენების დღევანდელი მზადყოფნის გამოცდა როდია; იგი ფაქტიურად ჩვენი სპორტის მომავლის გამოცდაცაა, რომელიც მალე დატოვებს სიყმაწვილის ასაკს და მოზრდილთა სარბიელზე გადაინაცვლებს. იქიდან კი ხელის ერთი გაწვდენაღაა ხალხთა საკავშირო სპარტაკიადის სტარტებამდე.

დიდი იმედითა და რწმენით მოველით ვოლგოგრადის მატჩს, რომელშიც მაია ჩიბურდანიძე შეხვდება თანამედროვე ქალთა ჭადრაკის ერთ-ერთ გამოჩენილ წარმომადგენელს ირინე ლევიტინას.

დამთავრდა აგვისტო და დაიწყო მღელვარე სპორტული სექტემბერი.

მასპინძლები მზად არიან

4 სექტემბერს სტარტს აიღებს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

სექტემბერი დიდი ასპარეზობის თვეა. საბჭოთა ქვეყნის სპორტული ცხოვრება დროებით შუა აზიის ერთ-ერთი რესპუბლიკის — უზბეკეთის ბაზებზე გადაინაცვლებს. 4 სექტემბერს აქ სტარტს აიღებს მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ხელბურთელთა ტურნირი.

უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი მზად არის ნორჩი სტუმრების მისაღებად. ამაში მას ყოველმხრივ დაეხმარა ოლიმპიადა-80-ის დედაქალაქი მოსკოვი.

რაში გამოიხატება ეს დახმარება?

ნორჩი ტანმოვარჯიშეები, მაგალითად, იასპარეზებენ ოლიმპიურ სარბიელზე, რომელიც მძლავრი „კამაზების“ მთელმა კოლონამ მოსკოვიდან ტაშკენტში ჩაიტანა. როგორც ცნობილია, მოსკოვის ოლიმპიადის დღეებში „საიუბილეოს“ ცენტრალურ დარბაზში მოწყობილ სარბიელს მაღალი შეფასება მისცეს მსოფლიოს უძლიერესმა სპორტსმენებმა. ესტაფეტას ახლა ნორჩი ტანმოვარჯიშეები იღებენ. ამ სარბიელზე ტანმოვარჯიშეთა გარდა გამოვლენ აკრობატები, მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატები.

სპარტაკიადის შტაბმა დიდი მუშაობა გასწია მოსწავლეთა ფორუმის მაღალ სპორტულ და ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად. ნორჩების განკარგულებაშია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დარბაზები, სტადიონები, საცურაო აუზები და ღია მოედნები.

მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელთა ტურნირი მხოლოდ 11 სექტემბერს დაიწყება, სტადიონები და მოედნები კარგა ხანია მზად არის სპორტსმენთა დასახვედრად. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფეხბურთელთა ტურნირი ჩატარდება კიბრაის, ტაშკენტის სატრაქტორო ქარხნისა და „შუა აზია კაბელის“ საწარმოო გაერთიანების სპორტულ ბაზებზე. სპეციალურმა კომისიამ აღნიშნული სტადიონების მზადყოფნა „ხუთიანზე“ შეაფასა.

რესპუბლიკის მთავარ საწყლოსნო ცენტრში — „შრომითი რეზერვების“ სპორტკომპლექსში ჩატარდება წყალბურთელთა ტურნირი, „ტურკვოს“ აუზის ცისფერ ბილიკებზე — მოცურავეთა ასპარეზობა, ხოლო საწყლოსნო სპორტის სასახლე სტუმართმოყვრულად გაუღებს კარს სინქრონული ცურვის ოსტატებს.

მოსწავლეთა XVII საკავშირო ზეიმს მასპინძლობს მთელი უზბეკეთი. „მცირე ფლოტილიის“ (აკადემიური ნავები, ბაიდარები, კანოეები) სტარტები დანიშნულია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო სანიჩბოსნო არხზე, რომელიც სამარყანდში მდებარეობს. ველოსიპედისტები იასპარეზებენ ნამანგანის ტრეკზე და ალმალიკის გზატკეცილზე. სპეციალისტების დასკვნით, ტრეკი კარგ მდგომარეობაშია, გზატკეცილი კი ბევრ საინტერესო მონაკვეთს მოიცავს, სადაც ნორჩ ველოსიპედისტებს მაღალი ოსტატობის დემონსტრირება დასჭირდებათ.

„სპორტის დედოფალს“ ტრადიციულად დათმობილი აქვს რესპუბლიკის მთავარი ბაზა — „ფახთაკორის“ ცენტრალური სტადიონის არენა. „ეშლიკის“ მანეჟში იასპარეზებენ ძიუდოისტები, კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. ამავე ბაზის სპეციალიზებულ დარბაზში მოეწყობა მოფარიკავეთა ტურნირი.

ტაშკენტის № 110 სკოლა მთელს რესპუბლიკაშია ცნობილი სპორტული ტრადიციებით. სპარტაკიადის დღეებში სკოლის სააქტო დარბაზში ჩატარდება ნორჩ მოჭადრაკეთა ტურნირი. საინტერესოა ერთი დეტალი: ექვსი წლის წინ აქ, ტაშკენტში, აზერბაიჯანის მოჭადრაკეთა გუნდის ღირსებას იცავდა ჯერ კიდევ ნორჩი გარი კასპაროვი. ვინ იცის იქნებ წლევანდელი ტურნირის მონაწილეთა შორისაც აღმოჩნდეს კიდევ ერთი მომავალი პრეტენდენტი?

სპორტის მოყვარულები ინტერესით ელიან მოკრივეთა ტურნირს, რომელსაც ტაშკენტის სახელმწიფო ცირკის სარბიელი უმასპინძლებს.

ჩოგბურთელთა განკარგულებაში იქნება „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ ბაზები. ამ კორტებზე არაერთი დიდი ტურნირი ჩატარებულა, ისეთი, როგორიც იყო, მაგალითად, საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა. აქ თავიანთი ოსტატობა უჩვენებიათ საკავშირო ჩემპიონატებისა და საერთაშორისო ტურნირების მონაწილეებს. „მცირე ჩოგნის“ ოსტატები კი იქვე ტაშკენტის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დარბაზში გამოვლენ.

კეთილმოწყობილი ბაზებია გამოყოფილი სპორტის ტექნიკური სახეობების წარმომადგენლებისთვისაც. მაგალითად, პირველობა ტყვიის სროლაში გათამაშდება ჩირჩიკის სასროლეთზე, კარტინგში — იანგიერის ტრასებზე, ხოლო რადიოსპორტში ანგრენის ერთ-ერთ საუკეთესო ბაზაზე.

როგორც აღვნიშნეთ, სასპარტაკიადო შეჯიბრებები დაიწყება 4 სექტემბერს ხელბურთელთა ტურნირით. 11 სექტემბერს ასპარეზობაში ჩაებმებიან: წყალბურთელები, ტანმოვარჯიშეები (სპორტული, მხატვრული), აკადემიური ნიჩბოსნები, სინქრონული ცურვის ოსტატები, ჩოგბურთელები, მოფარიკავეები, მაგიდის ჩოგბურთელები, ფეხბურთელები და მოჭადრაკეები, 12 სექტემბერს — თავისუფალი სტილით მოჭიდავეები, მძლეოსნები და ძალოსნები, 14 სექტემბერს — კალათბურთელები, ველოსიპედისტები, ფრენბურთელები და ნიჩბოსნები (ბაიდარა და კანოე), 15 სექტემბერს — მოცურავეები, 16 სექტემბერს — მოკრივეები, 17 სექტემბერს — აკრობატები, კლასიკური სტილის მოჭიდავეები, წყალში მხტომელები, 20 სექტემბერს — საგზატკეცილო ველოსპორტის წარმომადგენლები, ტყვიის მსროლელები, რადიოსპორტსა და კარტინგში მოასპარეზენი, 22 სექტემბერს — ძიუდოისტები. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები დამთავრდება 25 სექტემბერს (აღნიშნულ კალენდარში მოსალოდნელია უმნიშვნელო ცვლილებები).

ცვლილებები კალენდარში

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარში (უმაღლესი ლიგა) კვლავ ცვლილებები მოხდა. იმასთან დაკავშირებით, რომ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ ამხანაგურ შეხვედრათა ჩასატარებლად უცხოეთს მიემგზავრება, მისი კალენდარული მატჩი დონეცკის „შახტიორთან“, ნაცვლად 3 სექტემბრისა, ჩატარდა გუშინ. გაიმარჯვა „დნეპრმა“ — 2:1.

3 სექტემბრიდან 2 სექტემბრისთვის გადაიტანეს კიევის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ შეხვედრა. კიეველები 5 სექტემბერს ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავენ საფრანგეთის ქალაქ ტულუზის გუნდთან.

იმედის „თასზე“

ფრუნზე. დასასრულს უახლოვდება საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული „იმედის“ თასის ზონალური გათამაშება ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. საქართველოს ნაკრებმა III ტურში მარცხი იწვნია ყირგიზეთის გუნდთან შეხვედრაში — 0:2, შემდეგ კი დაამარცხა ტაჯიკეთის ნაკრები — 8:1.

ტურნირში წინ არიან ყირგიზეთისა და სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ნაკრები გუნდები.

რედაქტორი ა. გოგელია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი
ინდექსია
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 15007